# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება № 6-10

“ 15 ” დეკემბერი 2017 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-94 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს.

**მუხლი 1**

შევიდეს ცვლილება ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-94 დადგენილებაში (ვებგვერდი www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი 30/12/2016, სარეგისტრაციო კოდი 010260030.35.101.016348) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის პროგრამების განხორციელების წესის:

1. პირველი მუხლის:

ა) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,5. ამ წესის შესაბამისად, ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი ქმნის პროექტების განმხილველ კომისიებს (შემდგომში კომისიები). კომისიების საქმიანობის წესი განისაზღვრება კომისიების დებულებით, რომელსაც ამტკიცებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.“

ბ) მე-6 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

2. მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. თუ წარდგენილი საპროექტო განაცხადი აკმაყოფილებს ამ წესითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, სამსახური საპროექტო განაცხადს განსახილველად უგზავნის ერთ-ერთ კომისიას".

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ტყემალაძე**

# განმარტებითი ბარათი

## „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-94 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

ა) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-94 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-94 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) პროექტის მიღების მიზეზია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები, რომელიც მიზნად ისახავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოში ბიუროკრატიის შემცირებასა და მუშაობის ეფექტურობის გაზრდას. შესაბამისად, საჭიროა გარკვეულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილების შეტანა. შედეგად, გადაწყვეტილებების მიღება კონკრეტულ საკითხებზე მოხდება გაცილებით მოკლე დროში.

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებულ წესში და ხორციელდება წესით გათვალისწინებული არქეოლოგიური საბჭოს გაუქმება.

**ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:**

პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან, არ მოახდენს გავლენას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე. პროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს და იგი არ მოახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებიც მოექცევიან ამ პროექტის რეგულირების სფეროში.

**გ) პროექტის ავტორი:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

**დ) პროექტის წარმდგენი:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.